განკარგულება:**g-31. 31261972**
თარიღი:**16/07/2026**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №37

2026 წლის 16 ივლისი

ქ. ლანჩხუთი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ დაფუძნებაზე მერისთვის თანხმობის მიცემისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის განმახორციელებელ ადმინისტრაციული ორგანოდ განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 106[1]-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 118-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული და მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ დაფუძნება.

მუხლი 2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექცია“ განისაზღვროს მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის განმახორციელებელ ადმინისტრაციული ორგანოდ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N26 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი